პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზი ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის, ეთერი ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ თებერვლის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზი ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის, ეთერი ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის

№ -------- განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,

მოქალაქეების: მარიზი ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის,

ეთერი ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“

სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტი-ფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე მარიზი ტყემალაძე	60003009313	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №9-ის ჩრდილოეთით	ტროტური	3.03 კვ.მ.	03.01.21.008	303	კიბის უჯრედის მოსაწყობად
2.	მოქალაქე არსენ ჭოლაძე	53001007302	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №44-ის სამხრეთით	ტროტუარი	10.0 კვ.მ.	03.04.06.601	1000	კიბის უჯრედის მოსაწყობად
3.	მოქალაქე გიორგი კოხრეიძე	60001041117	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №11 სახლის ჩრდილოეთით	გაზონი	3.36 კვ.მ.	03.04.22.356	336	კიბის უჯრედის მოსაწყობად
4.	მოქალაქე ეთერი ყუფარაძე	60002006003	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №112-ის სამხრეთით	ტროტუარი	2.70 კვ.მ.	03.04.21.313	270	კიბის უჯრედის მოსაწყობად
5.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სთარქი საქართველო სმენის ცენტრი“	405048719	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №39-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	3.20 კვ.მ.	03.04.24.008	320	კიბის უჯრედის მოსაწყობად

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი იუზა უგულავა